


ნახ. ჯ. ლომუასი



# ინტერნაციონალიზმი

# ინტერნაციონალიზმი კარგად

პანფილი

დღედაღლა მისი რომელიღაცა უბნის რომელიღაცა სავაჭრო-საბითუმო თუ საბითუმო პუნქტი დილაადრიან იუწყებოდა, რომ საქართველოშიც შემოიტანეს მოღვაწე და სიმწიფეში ერთდროულად შემოსული უცხო ხილი — ინტერფრუქტი!

ინტერფრუქტი თან მოჰყვას ჩურჩული, მითქმა-მოთქმა, რადიო და ტელერეკლამა: არიქა, ლევად შემოიტანეს რაღაცა უცხო მასალი, იმდენია, რომ არ იცი კაცმა, სად უნდა ჩასტიო გაიგოს რაშიდამ, რაფომ, სათენიკამაც და თეკლამაც!..

თურმე ჩვენთვის მოიტანესო, თანაც ცოტა კი არა, კარგა ბლომად შემოიზიდესო. ყველას ეყოფა: რუსებს, ბერძნებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს და იეზიდებს!

ვინც შეხედა ფრუქტს პირდაპირ და არა აღმატებულად, ყველამ შეაჩინა ზედ რაღაც უცხო წარწერა. ტექსტი იყო შორით მოსული, ვითა დეპეშა: წაიკითხეთ და შეისმინეთო, იუწყებოდა ვიღაცა ქვეშევრდები, ფრუქტი პირველ რიგში კუკუს ამთელბესო, ამიტომ უკეთესი შეერგებათ მხოლოდ არაქართვლებსო!.. გახსოვთ, ხე ბორცისა და სიქეთისა სამოთხეში რომ ღმერთმა დარგაო? ის ხე აქამდე იქ იდგა, კი არ დაიკარგაო, ახლა კიდე ერთხელ მოისხა ნაყოფიო, ამას რომ შევაბთ არაქართველები, მაშინვე მიხვდებით, თუ ქართველებთან რა გავსება გასაყოფიო. ამიტომ კარგად უნდა დაიმახსოვროთ ჩემგან შეგავსება გასაყოფიო. ამიტომ კარგად უნდა დაიმახსოვროთ აზრად და პუნქტით, რათა მოთავაზებული ინსტრუქციის ყოველი აზრად და პუნქტით, რათა კარგად გაარკვიოთ, თუ ვის შეერგება და ვის არა ეს უცხო რამ ხილი — ინტერფრუქტი! ვისაც ძალიან სწავდა, ქართველებზე ბრანითა და ბოღმით აივსოსო, ეს ფრუქტი, რაც შეიძლება ბლომად უნდა აითვისოსო! ვისაც დიდი ხანია გულში უჩოჩოლებს ავი წარაბა — ქართველებს სამარე გაუთხაროსო, ჩვენ მივასწავლით, ეს ინტერფრუქტი სადაც ბლომად ხარობსო, რადგან ვისაც სურს ქართველთა მუქთახობაზე, სიზარმაცეზე და გაუბნობაზე თვალი ახელოსო. იმან პირველ რიგში ეს უცხო ხილი უნდა იხილოს!

ჩაიტბარუნეთ ინტერფრუქტი-ვიტამინი, თუ გინდათ, რომ მაშინვე ამოძრავდეს თქვენი ტვინი, თუ გინდათ შეიტყოთ, ქართველები რომ ბევრს ლაპარაკობენ თავიანთ ენაზე, ამით ისინი ერთბაშად გადავიდნენ სხვათა და სხვათა კენახეო! ყოველ გურჯს ერთბაშად გადავიდნენ სხვათა და სხვათა კენახეო! ყოველ გურჯს ერთბაშად გადავიდნენ სხვათა და სხვათა კენახეო! ყოველ გურჯს ერთბაშად გადავიდნენ სხვათა და სხვათა კენახეო!..

თუ არა ნაციონალიზმის შხამით შეიარაღებული მფაიო!.. ქართველები რომ ბატონობენ თქვენზე და თან ძმებს გეძახიანო, თქვენზე და თქვენისთანებზე დიხხაც რომ ახიანო!

ბევრ სხვა ამისთანა რამეებს შეგასმენთ კიდეც ეს ჩვენი ინტერ-

ნაციონალური ხილი, ოღონდ ბლომადე უურადლებით ისმინეთ ჩემი არაქართული, ნამდვილად ქმური შეძახილიო!.. ძვირი არ გეგონოსო, გახლავთ მეტად იაფი, თითქმის მუქთიო, ეს იმიტომ, რომ ძმებმა შორით მოგიტანეს თქვენთვის სპეცრეცეპტით გამოწერილი — ინტერფრუქტი!

ამ დაძახილზე მოვიდა მუშტარი ავლაბრით, ისნით, ვერით, ზემელით!.. ზოგი იყო ჩანთით, ზოგი — ტომრით, ზოგი — ზემბილით!.. ოღონდ ერთი რამ ვერ გაითვალისწინა ღალატით მოვაქრემ — ეგონა, აქ იპოვიდა ბლომად ლარებს, მაგრამ დახვდნენ ყველგან ნაღდი კავასიელები და არა ვიღაც შავსიელები, თავანკარა ხალხი, თბილისელები, ძმობის ძუძუ რომ ერთად მოუწოვით და მათ ცხვრებსაც რომ მუდამ ერთად უძოვიათ!

ჭერ გაიკვირვეს, განა ვინ გამოჩნდა ღვთისნიერი, ჩვენზე ასე ვინ იზრუნავს და ამ დილაუთენია ჩვენს შესაქრებად ვინ დაუქრა, ვინ დასცხო დავი და ზურნაო?!

წინ წამოადგა უბუცევი მოქალაქე: ხალხო, კუკუთ ვიყოთ, კარგად ავწონოთ ეს ფრუქტი, არავინ გავვაბრიყვოსო, მოდი, ჩერ ჩვენ გაგვახსნიეთ — მე, ბებერ რაშიდამ, რაფიკასა და მიხოსო, თუ გასტყავს ფრუქტი და მოგვკრა პროთეზებზე დასხმული კბილიო. მაშინ მიხვდებით, რომ ეს რაღაცა მავნე სასაქმებელია და სულაც არ არის სამარგებლო ან ტბილიო!..

ან კი რა დასაჭერებელია, როგორ იქნება ერთდროულად ეს უცხო ფრუქტი, თან სასარგებლო და თანაც მუქთიო?!

და აიღეს ხელში ერთი ცალი — ყველაზე მსხვილი, რათა გაეხინჯათ ქაშნიკი — ეხილათ ეს უცხო ხილი.


დაპირეს მუშტი და იოლად გატყდა სქელი ნაჭუჭი, გაუხედავად იგემეს შიგთავსი, ენით ალოკეს და მაშინვე ყველას აეშალა კუჭი!.. ოი, შენი შემამტანი კი გადაშენდაო! — იყვირა რაშიდამ და შორს გადააგდო ინტერფრუქტი, რადგან მიხვან ფრიალ დაშინდა.


ამაღლდეს, აქოთდეს, ვინც შენ მოგიწიო, შენგან დამეწყო მუცლის გაწამაწიო! — განზე გაიწია რაფომ და ფრუქტი გატყორცნა, როგორც მამო. იქვე შეიშით გახედა სათენიკას, ნერვულად რომ აკანკალებდა ნიკას.

შორიანლო გადაფთვრებული იდგა ბებერი მიხო, კრიჭა ველარ გახსნა, ხელის აწევით, მუწურად, იქვე მდგარი „სასწრაფო“ იხმო!.. იგრიანო ხალხმა, იკვირა თეკლამაც. მაშინვე ეცა და მიფხრიწ-მოფხრიწა რეკამა.

იქვე მდგარ დახლზე გროვა-გროვა ხილით — ინტერფრუქტით ხელდახელ აივსო დიდი სანაგვე ყუთი!..

ნახ. ბ. ზუბაშვილისა





უსიტყვოდ



### სიმაღლის დასაწყისი

- სოციალიზმი: მძლავრია ჩვენი პარტია!..
- გუნდი: პარტია!..
- სოციალიზმი: მაგრამ საჭმელი არ არი!..
- გუნდი: არ არი!..
- სოციალიზმი: ჯამაგირებზე გვატყვი!..
- გუნდი: გვატყვი!..
- სოციალიზმი: პარტიის ნაამაგარი!..
- გუნდი: პარტია! — მისი ზრუნვა გარს გვარტყია!..

(გაგრძელება იქნება)

● შრომაში შექმნა ადამიანი, რომელიც მერე სოციალისტურმა შრომამ გაამაიმუნა.

### პრესბუმი

ამ ხნის კაცს სხვა ბუმი არ მახსოვს ასეთი: ყოველდღე შრიალებს ახალი გაზეთი!.. ტირაჟი მრავლდება, ტირაჟი ახლდება — ახალი ორგანო ზედზედ არსდება! გაძნელდა ნათლობა, გაძვირდა სახელი, რედაქტორს სჭირდება სხვა თავი, სხვა ხელი! ნამდვილად შეგვეყრია გაზეთომანია! — რა უშავს, ხომ ვიცით ანი თუ ბანია?! ... ამ დროს კი იქ, ზემოთ, გაისმის ღალადი: „შეჩერდით! გეყოფათ! — აღარ გვაქვს ქაღალდი!“

ძირუ ლელი

### ფრაგმენტები უახლესი ისტორიიდან

- თავისუფლება კორეელ ხალხს! (ხელები შორს კორეისაგან!).
- თავისუფლება კუბელ ხალხს! (ხელები შორს კუბისაგან!).
- თავისუფლება ვიეტნამელ ხალხს! (ხელები შორს ვიეტნამისაგან!).
- თავისუფლება ანგოლელ ხალხს! (ხელები შორს ანგოლისაგან!).
- თავისუფლება ნიკარაგუელ ხალხს! (ხელები შორს ნიკარაგუისაგან!).
- ბლოკადა ლიტველ ხალხს! (ხელები ახლოს ლიტვასთან!).

\*\*\*

ოთხმოციან წლებში, ლამის, კომუნიზმი ამიგია, მაგრამ ჩვენი პოლიტიკის ვერაფერი გამიგია: აფრიკაში მყის მიცვლია ცალკე ქვეყნად ნამიბია, აგერ ლიტვის გარშემო კი ინსტრიგები გამიბია!..

\*\*\*

სამოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში ქვეყნის და საზოგადოებრიობას დიდი ზიანი მოუტანა საყოველთაო ლენინიზაციამ. ახლა, აქა-იქ, ნელ-ნელა, ცოტა-ცოტა ჩნდება დელენინიზაციის ნიშნები და ვნახოთ, ეს რას მოგვიტანს!

### თვალმოკრული

გაყიდვაშია ცოცხალი ქათმები — ხელზე გაიცემა ნახევარი ქათამი! ვყიდი სამ სხვადასხვა სქესის გოჭს! მიღებულია მრავალჯერადი ხმარების თერმომეტრები! გააქვს ერთჯერადი ანკელებით დაჭერილი ცოცხალი! სილაშაზის სალონი გასაახალგაზრდავებლად ინვესტ ქალებს. თქვენ დაბადების წელი შეიცვალეთ, დანარჩენი ჩვენზე იყოს! გიყვარდეთ ბუნება — თქვენი დედა! კოოპეროტივის ესაჭიროება ორივე სქესის წარმომადგენლები. დაწერილებითი ცნობებისათვის მიმართეთ დირექციას!

თამაზ ევანოიქა

### ლუდხანავს

ვაჟა-ფშაველას „არაგვის“ მიხედვით

ნაბახუსევმა, ლუდხანავს, რო გნახე, გავიხარეო, სრულიად გამოვიცვალე, წელშიაც ავიხარეო!.. რა ლამაზია, წყულო, ტოლრაში ლუდის ჩქერანი, თან მესმის ნაბახუსევთა გულის ჩქარ-ჩქარი ძგერანი!.. ლუდს თვალს ვაცილებ ხანდახან, არყისკენ მწადის ცქერანი, უნდომლად მომინდებიან „დამისხის“ თქმა და მღერანი!.. გულიც იქ იწევს, თვალიცა, იქ რო ბოთლები აწყვია, მაგრამ სირჩასაც არ მისხამს ის მიკიტანი ქვანვია!..

ნუგზარ აფხაზაპა

### სამაჯანკლო სალალოკო

სარძლოს გირჩევ, ჩემო ძმაო, „სუპერსა“ და დიპლომიანს, ნაუზას ურტყამს ზომიერად, „ბლატიანი“ ღიმილი აქვს! ახლა ოჯახს აღარ იტყვი? — „დაცუნი“ და „ფიგულები“, ოქრო-ვერცხლი, ბრილიანტი, „იკრა“, ზუთხი, „პიკულები“, თან ვიდეო დიდებული, უცხოური კასეტებით!.. შინ ისეთი გრიალი აქვთ, შეიშლები, გაშუმდები!.. კერძო ბინა, კარგი „დაჩა“ სულ „მებელით“ გაწყობილი! ჩემო ძმაო, მე მგონია, უნდა იყო კმაყოფილი! გოგო — „შუსტრი“, „ფაიზალი“, თამამი და დედისერთა!.. არ გამადლი, მაგრამ, სიმონ, მოგველინე, მგონი, ღმერთად!

ჯონი ბაზარაშვილი

ალალი იუოს დედის რძე  
თქვენზე, ალგეთის ბოკრებო!  
ალბათ უფალსაც დაუფერნენ,  
ვინც თქვენ ვერ დაიმოყვრეთ!

თქვენ შემოგვევლოთ, შვილებო,  
აგრემც არისხეთ ზარები!  
მშობლების არ შეგეშინდეთ,  
თუნდ მოგიხურონ კარები!

ტანკთა წინ ჯოხშემართულნი,  
უშიშნო, წმინდანთ ედრებით!  
თურმე, აქამდეც ჩივიან, —  
ტანკებს სტაკიათო გვერდები!

იქნებ თავებიც ვატყინოთ,  
ვინც ჩვენს სისხლზეა ნაგეში,  
თქვე ალგეთლო ბოკრებო,  
გაზრდილნი თბილის-ვაკეში!

ა უ მ ც ი ო ნ ი

მაინც რა კოშმარი  
არ მოგელანდება კაცს?  
დღეგვიწუდება  
ამის მნახველს  
მიწაც და ცაც!  
მერე ეპვი გაპურობს, —  
იქნებ ვერ არჩევ  
სიხმარს და ცხანს?  
არა, რა საოცრება  
არ მოგელანდება კაცს?!

...და დავინახე  
აუტციონი დიდი,  
სადაც ჩვენ ყველანი  
სუჟველაფერს  
ვყიდდით და ვყიდდით..  
ალარც მორცხვობა,  
არც სიწილეთ,  
არც კდმა-რიდი,  
ვეყვიროდით მხოლოდ  
გამყინავად:  
„ვეყიდი! ვყიდი! ვყიდი!“  
...მაგრამ მე ხომ თქვენ  
მეგობრებად  
ყოველთვის გთვლიდით?  
მთელი სიცოცხლე იდეალებს  
ხომ ტანჯვით ვმკიდით,  
ნაღალატევი სიყვითისთვის  
ცნენ ცრემლებს ვღვრიდით?!  
ახლა რაღა გჭირთ,  
რატომ ბღავით  
ან რაღას უკიდით?!

„... ვუკიდით სინდისის  
გაცრეცილ დროშას,  
სიუვარულს ვუკიდით!  
გულწრფელობაში ხომ  
მთლად მოგვისპო  
სიცოცხლის ხიდი?!  
ვუკიდით სიპართლის  
მჭრელ ალმასსაც  
(ერევა წიდი),  
ველარა ხელავა  
მაგათ ბრალით  
სიცოცხლეს მიდის?!  
ალარ გმეღირსა  
„კაიფი“ და  
ცხოვრება მშვიდი  
ვუკიდით, პო, ვუკიდით,  
საკუთარ სულის  
ვუკიდით და ვყიდით..  
აგერ, მეგობარს,  
ჩაღის ფასად  
ვინმეს მიყვადით  
და მერე უნდა ვიქვიფოთ  
დღე-ღამე შვიდი!“

ჯულიეტა მილდინი

მაგრამ მყიდველი  
არვინა ჩანს  
კილით და კილით,  
ისმის დუმილი  
გამყინავი,  
ცივი და მშვიდი..  
მერე კი უცებ  
მე მომმართავს  
ნილაბი მშვიდი:  
„ქალბატონო,  
იმენთ რამეს  
ან: იქნებ, უილით?!“  
მე ვუპასუხე:  
„შუბლის ძარღვი  
ამეწვა რაღაც.  
ერთ ცალ ტუვიაში,  
რამე იუს.  
არ გამოცვლიდით?!“  
შემომხარხარა:  
„ო, ინებეთ,  
ქალბატონო!“  
და, ერთის ნაცვლად,  
მეის მესროლა  
მან ტუვია შვიდი!..

უდრო ბარდაცვალებბ

შეწერილ ფულებით,  
ციხფერი „ვოლვოთი“,  
ხომ არ გეშინიათ  
ცოტათი გოლგოთის?!  
სინხლიან ოქროებს  
გაგიწყდათ მომგონი,  
ცოდვებში იხრჩობით  
თქვენ სოლომ-გომორის!  
მხვეალო რობერტი,  
ბედშავო რობერტი,  
უქვე კანდიდატო  
პანჩუროთ „მოზოლტვის“!  
იარაღო იუდას,  
იარაღო ბოროტის,  
განკითხვის შიშებით  
ო, როგორ მობერდი!  
დაგტირით საბარალოს,  
უდროოდ გარდაცვილილს,  
რობერტი, რობერტი!..

სარეველას მთისპელინი  
და პირუბუბნი

ღინჯი მიეთმოეთობით  
ბრძენკაცებად მოირთვებით:  
ვითომ წუხნართ ხალხის  
ცვენას!  
უცნაური გამეტებით,  
მომგებიანი თემებით, —  
სიმაართე რომ  
გავამზილოთ, —  
სარეველას თესვით!  
სხედნართ უქვე წყვილ  
სკამებზე,  
დავობთ თეთრ და შავ  
გამებზე,  
ნატრობთ, იქცეს მუხა  
ფესვად,  
შეიცვალოთ, აღარ გუნებვთ,  
უთანხმდებით ეშმაკს!..  
სიმაართე რომ გავამზილოთ, —  
სარეველას თესვით!  
სახელს უტებთ მათ,  
რომლებიც

მიხვედრილან ხნებას,  
ვისაც სულის სიმხივნეთა  
აქვთ მიხვედრაც,  
გრძნებაც,  
ქირურგიულ დანით ვისაც  
ამოკვეთა ნებავთ, —  
ერის მკურნალ იმ პატრიოტთ  
ღვთისგან ეთქმით ქება!  
თქვენ კი მიეთმოეთობით,  
რას არ მიეღმოდებთ, —  
უცნაური გამეტებით,  
მომგებიანი თემებით, —  
სიმაართე რომ  
გავამზილოთ, —  
სარეველას თესვით!

ცაში ასვლა

რაც დრო გადის,  
უფრო ვხვდები,  
უფრო ვტკიანდები:  
აქ ყვალილებს,  
იქ ვარსკვლავებს  
ტყვილა ველალები!  
ვინ უდმერთო თავზე  
მაღვას,  
მასმენს ხელალებით:  
„მიწა ხარო, მიწა ხარო,  
ქალო, დაიღლები!  
საბუკიკიოდ  
სად გცალია  
მიწას მიბმულს  
ღვედით?!  
ცაში ასვლა  
რად გწალია, —  
მზეხთან გავვიღვებო!  
დაგვიჭერე, ქალბატონო,  
მაინც გვიანდები!“

რაგინდ ვიყო მიწიერი,  
მიწა ვიყო თუნდაც,  
ლექსის გარდა,  
სხვა ხატება  
მე არასდროს მსურდა!  
რაგინდ ძლიერ  
დავიქანცო  
გარჯით მეტისმეტით, —  
გულზე ლექსი დავინალო, —  
კვლავ აღვსდები  
მკვდრქითი!  
ლექსთან უნდა  
მაქორწინოთ,  
ლექსით მითხრათ ზარი,  
ლექსით უნდა  
მამოვინოთ  
შვიდფერ მუზათ ქნარი,  
ლექსით უნდა ზეცას  
შევხსნა  
საიდუმლო კარი, —  
პოეზიის მარგალიტთა  
რომ წამოხედვს ღვარი!  
ლექსით უნდა ვაჩუჩრულო  
მძივი დილის ცვარის,  
უღლქსობას, უმზეობას —  
უარი, უარი, უარი!

ამბაპნი ჩამი და  
ერთი ძალინა

ერთთა მშვენიერსა დღესა  
მიველ სამსახურის ბჭესა!

„სიხარულით ცმუკავდიო“  
მითხრეს, ჩემ ხატის მწესსა!  
ღირქტორმა დიდნანს მჭერითა  
(თურმე ზარის ესეც წესად),  
ბევრი ზვერვა-ვერვის-შემდეგ  
მეცმუხაკად გამაშენა,  
ლამის ფიცს ვღებო,  
ნულობას ვიხვებ,  
გულმოდგინეთ ვართმევ ხელსა,  
ადგილი კი მომიჩინა  
ქალის გვერდით,  
რომ ჰგავს მგელსა!  
განვიცდი, რომ ახალი ვარ,  
წამდაუწუმ ვიცვლი ფერსა!..  
ვფიქრობ: „ნეტავ,  
მკითხოს რამე,  
და საშველი დამადგესა!“  
დაიგრგვიანა (ქალს ხმა ჰქონდა,  
დაფრთხობდა ბაყბაყვესა),  
წარვუღვინე თავი ჩემი  
(გვაგვი შესაქმელსა შველსა),  
სიგარეტს რომ ექაჩება,  
ერთდროულად ღეჭავს კეცსა,  
იქით დედით ივინება  
(ვაი, ჩემი ბედის დღესა!)  
მე რომ ამ ქალმა „შამპანოს“  
გმირობას ვინ დამიგდებდა?  
გამომკითხა:  
„ქმარ-შვილი გყავს?“  
„დაიხ!“ — ვუთხარ  
ცოტა ქლესად.  
დამიბღვირა. მიხვდით უშაბლ,  
ჩემთვის კბილი დაიღესა:  
„არ დამასწრონ,  
სჯობს მე გითხრა:  
ქმრებსაც გავკარ  
და მათ წრესაც!  
ჩემს საუვარელს დავენაცვლი,  
ანმანია და ჰგავს კლესა.  
მის ცოლ-შვილსაც თავზე მენი  
დავყარე მოტკმა-კვესად-  
დაისხომე, რომ, ხერთოდ,  
ცოლი ყველა წამგავს გველსა!  
მეზივდება ყველა ცოლი,  
სიხარულით დავკრი უელსა!“  
ახლა მართლა აკანკალდი  
და მოვედე ტუცხა; ღრესა!..  
ჭერ თავი არ მომძულვია,  
ორ შვილს ვხურავ  
დაბალ ჭერსა!  
...უამი გადის შიშით,  
ძრწოლვით,  
ყველა დღე ჰგავს  
ერთმანეთსა!..  
მაძიულებს, მას ვუსმინო,  
ვემსახურო ყოველს დღესა!  
მე მიწუნებს გარეგნობას,  
თვით წააგავს ქვასა, ხესა!  
... სიგარეტის კვამლი  
მასჩრობს,  
გინებების ზღვაში ვცურავ!..  
სამაში კაცებსაც „უჯოკრავს“,  
ქალი არის, —  
მოკლედ, „სურავს“!  
დიდნანს ვუკლაპე,  
ველაპე, ვუკლაპე,  
ბოლოს კი დამადგა უელსა  
და ვთქვი: „მომკლავს,  
მეტს რას მიზავს,  
სხვას ხომ ვერას  
დამაკლესა?!“  
ავდექი და განცხადება  
წარვუღვინე ღირქტორსა!  
სულ ვფიქრობდი:  
„იმ მგელქალას  
დასაცვად მოხვევს ტორსა!“  
ასეც მოხდა!  
— მე წავედი,  
ის კი დღესაც  
ლოზნის მძორსა!..



## დაუნახავები ვართ ადამიანებო!

იუმორისკა

**საოცარია** ადამიანის ბუნება, მართლაც საოცარი: ხშირად ვიბუტებით, უკმაყოფილონი ვართ, დანახვა არ ვიცით სიკეთისა!

ამ ბოლო დროს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უკმაყოფილოა ტალღებით გაცემულ 600 გრამ მარილიან კარაქზე! მე ამ ხალხისა ვერაფერი გამიგია! რა უნდათ, რატომ ბუზღუნებენ, ვითომ უმარილო კარაქი მარილიან კარაქს ჯობია?

უმარილო კარაქთან შედარებით მარილიანი კარაქი უფრო მეტ ხანს ძლებს, სადილის დამზადებისას რამდენადმე უადვილდება საქმე დიასახლისს (მე არ გამიგია უმარილო სადილი). ვთქვათ, ერბო-კვერცხის შეწვა მოინდომეთ: დადეთ ტაფაზე მარილიანი კარაქი, დაახალეთ კვერცხი და რაღად გინდა მარილი? შემდეგ: საუზმესა და ვახშამზე გურმანები აღარ შეეცდებიან, მიირთვან მარილიან კარაქნაცხებულ პური, ეს კი ჯანმრთელობისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორია და სისხლში ქოლესტერინიც შეუმცირდება ადამიანს. ახლაც იტყვიან, არ ზრუნავენ ჩვენზეო? და მაინც, თუ ზოგიერთი დილით და საღამოს გაბედავს მარილიან კარაქნაცხებულ პური ჩაისთან ერთად მიირთვას, ნუ

გავამტყუნებთ, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი პირებისათვის მარილიანი კარაქი ყველის შემცველია და მათთვის ყველის პრობლემაც მოხსნილია!


ბოლო ხანებში დღის წესრიგში მარილის პრობლემაც იდგას ხალხი ბუზღუნებდა, სად გაქრა მარილიო?! ესეც ხომ მონესრიგა და: კარაქში მარილის არევით მივიღეთ მარილიანი კარაქი და სწრაფად მოიხსნა კარაქისა და მარილის პრობლემა. ნუ ვიქნებით დაუნახავები, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ხომ უნდა გვერბინა ცალკე მარილზე, ცალკე კარაქზე? ასე არა სჯობს? კიდევ მეტს გეტყვით: უმჯობესი არ იქნება, რომელიმე ლაბორატორიამ ითავოს ახალი პროდუქტების შექმნაზე, მაგალითად, "მაიონეზ მარგარინ მარილკარაქზე" და იცით, რამდენი პრობლემა მოიხსნება ერთბაშად? — აღარ ირბენს ადამიანი ცალკე მაიონეზზე, ცალკე მარგარინზე, ცალკე მარილსა და ცალკე კარაქზე!

ეჰ, დაუნახავები ვართ ადამიანები, მართლაც დაუნახავები!

**გურამ განიტაშვილი**



# მარტყოფიდან მწიქლისწამამდე



## ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

ჩემს ბიჭობაში ნეტარსენებული მამაჩემი კულა გლდანელის მომავალი ჭიდაობის ამბავს რომ გაიგებდა, ერთი კვირა ემზადებოდა, მეტი კუდალა ცხენზე შემომისვამდა, წელზე ხელს შემომახვევინებდა, პირჯვარს გადაიხურდა, „ა ჩ უ ო“, დაიძახებდა და ცხენიც მარტყოფიდან ისე ჩაგვარბენინებდა გლდანში, ერთს არ შეიქაქებდა.

ჭიდაობის დაწყებამდე ნათესავს, ნაცნობს, ნათლულს თუ ნათლიმამას სათითაოდ მოიკითხავდა, ცოლ-შვილს დაულოცავდა, საერთო ნაცნობებთან სალამ-ქალამს დააბარებდა და მეტი კი ზურუნის პირველ ამოძახილზევე დამუნჯდებოდა და ფიცრის სკაბს ისე მიეკვრებოდა, ყაირით მილურსმული გეგონებოდათ, მხოლოდ სარმას აყოლებდა ფეხებს დიპლიპიტოს ჯოხებივით და კისრულის დროს ლოყებს მედუღუქე ტუნასავით ბერავდა. ერთხელ, კულას ჭიდაობისას, ისე შორს მოუვიდა მარჯვენა ფეხის განევა, რომ წინა რიგში მჯდომ ავჭალელ გიგუას გამოსდო კისერზე ტერფი და ისე ძალუმად მოქაჩა, რომ თუ არა მის გვერდით მჯდომთა სიყრჩაღე, ნამდვილად იმქვეყნად გაისტუმრებდა უზიარებელს..

უკან წამოსვლისას ის ჩვენი ვერანა ცხენი ყველა ნათესავის კარზე ჩერდებოდა და სანამ მამაჩემი არ გადასახებდა, „ოჯახი-შვილებო“, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

ნავიდა ის დრო. ახლა ჩემს შვილებს სადღა სცალიათ სანათესაოდ, საჭიდაოდ და საჯირითოდ?! ხან კრებაზე არიან, ხან — მიტინგზე და ხანაც სიმპოზიუმზე.. ამას წინათ თავიანთი „ში-გულით“ თაბუაანთ ნიკას ვახვევებაზე ძლივს წამოვიყვანე, ახალ გზამდე ათიოდე წუთში ჩამოვირბინეთ და ფართო გზაზე მოვირითე ავტომანქანებს ჭიანჭველებივით შევერიეთ.

— ეს, მამი, თბილისის შემოსაველი ახალი გზა არი, ისე ჩახვალ მცხეთაში ან ვახიანში, არც ნავთლულის გავლა დაგჭირდება და არც ავჭალისა!

— ააშენა ლმერთმა ამის ამშენებელი, გლდანში უფრო მალე ჩავალთ!

მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! ხან ერთი გზით მოუარეს და ხან მეორეთი, ხან ერთ დაღმართს დაუყვენ და ხან მეორეს!..

— გზა შეგეშალათ, თქვე უღმერთობო! აქეთ გლდანს რა უნდა?! იქვეა, ჩვენი სოფლის ბოლოზე, ყურის ძირში!

— განა ჩვენ კი არ ვიცით, რომ იქ არი, მაგრამ დამპროექტებლებს ახალი გზის გლდანთან მიერთება დაფინანსება და ახლა აგრე ვუვლით, აცაბაცა!..


— დაფინანსებით რა, ნათლულთან მისატანი ჩურჩხელა იყო? ამოდენა გზას რომ აკეთებდნენ, ეს პატარა საქმე როგორ გამოჩინათ, ურემი კონკილას გარეშე ვის გაუგია?!

ასე იყო თუ ისე, ხაშლამა რომ ჩამოატარეს, მაშინლა მივადექით კარებზე. ბევრი ვიბოდიშეთ: „აი გზა შეგვეშალა!“ „აი შორიდან მოვუარეთ!“ „აი პროექტის ავტორები!“ მაგრამ რალას ეუშველიდით?! ოციოდე წუთით ჩამოვჯექით ჭირის სუფრასთან და ისევე ისე აცაბაცა დავბრუნდით მარტყოფში.

ახლა, როგორც ჭორად გავიგე, პირდაპირ გზა უნდა გაიყვანონ მარტყოფიდან თბილისამდე. თუ ნამდვილად ასეა, ახლა მინდა ვთხოვო პროექტის ავტორებს, მარტყოფს ნუ გამოტოვებენ: აცაბაცა სიარულისათვის გლდანელები რა მადლობელი არიან, რომ ჩვენ ვიყოთ?!


## ვალერიან მამუკელაშვილი

ნ.ს. ბ. პატარიაშვილისა



ტ რ ი ბ უ ნ ი

ლაგარა ჯაყელი



**ქორწილი**

**გამოგზავმა** სომხური  
ნამოწება გადანყვიტეს.  
— შენ ხმა არ ამოიღო! —  
უთხრა ერთმა მეორეს.  
— რატომ, მაგალითად?! —  
გაუპირობა მეორეს.  
— პირველი შენ არ იცი, მე-  
ორე შენ არ იცი, მესამე შენ არ  
იცი და ის მაინც არ იცი, რომ  
სხვებს ხელი არ უნდა შეუშა-  
ლო?!  
\*\*\*

**რედაქციური შეკრებილი  
წერილებიდან**

„გიგზავნით მინიტიურებს.  
გთხოვთ ისე მაინც ჩაასწოროთ,  
ვიცნო, ჩემია თუ თქვენი!“

**ტელევიზიური შეკრებილი  
წერილებიდან**

„გთხოვთ ამ სიუჟეტს მშრ-  
ლად ნუ გადასცემთ!“  
ტელევიზიამ ავტორს თხოვნა  
შეუსრულა: სიუჟეტი ეთერში  
წვიმიან ამინდში გადასცა.

**რადიოგადაცემის  
შეკრებილი წერილებიდან**

„როცა რადიოში გაისმის ძა-  
ლის ყეფა, ჩემი ქალიშვილი  
შიშისაგან იზაფრება. თუ ტე-  
ლეფონის ზარია, ვეძებ ტელე-  
ფონს, რომელიც არა მაქვს, ხო-  
ლო როცა მუსიკალური ზარის  
ხმა გაისმის, ვაღებ კარს. ყო-  
ველთვის ბოლოს ვრწმუნდები,  
რომ ეს მხოლოდ რადიოშია. ასე  
რომ, შინ ვერაფერი გამიკეთე-  
ბია: ხან დაფეთებულ შვილს  
ვანყნარებ, ხან ტელეფონს დავე-  
ძებ და ხან კარს ვუღებ ვიღაც-  
ას... გთხოვთ მოეშვათ დიასახ-  
ლისების ნერვებზე თამაშს, ან  
მოგვწერეთ, როგორ მოვიქცეთ?“  
რადიოგადაცემის წერი-

ლის ავტორი სპეციალური პრი-  
ზით დააჯილდოვა, როგორც  
ერთ-ერთი აქტიური მსმენელი.

— რა ვქნა, ვერ ძლებს ბები-  
აჩემი თბილისში, სოფელში წა-  
მიყვანეთო, გაიძახის!  
— უყიდე მაგას დახურული  
კალოშები, ჩაუსხი შიგ ცოტა  
წყალი და ჩააცვი! აჭყაპუნდება  
თუ არა წყალი კალოშებში, სო-  
ფელში წაყვანას აღარ მოგ-  
თხოვს!

— სად მიდიხარ?  
— სანადიროდ, დათვი უნდა  
მოვკლა!  
— მერე, გატყავება იცი?  
— ოცდაათი წელია, მამაჩემს  
ვატყავებ და დათვის ვერ გავა-  
ტყავებ?

**სასადილო**

— ეს რა არის?  
— საფერფლე, ბატონო!  
— მერე, შე კაი კაცო, მწვა-  
დი საფერფლეზე პატარა თუფ-  
შით რომ მოგაქვს, არ გრცხვე-  
ნია?

**გაკვეთილი**

— დიდი ვაი-ვაგლახით კონს-  
ტანტინეპოლში ჩასული სულ-  
ხან-საბა ორბელიანი მცირე შე-  
ყოვნების შემდეგ გაემგზავრა  
დასავლეთ ევროპაში. მოგზაურ-  
ობის მარშრუტი ასეთი იყო:  
კონსტანტინეპოლი-მარსელი-პარი-  
ზი-რომი, აგრეთვე იტალიის  
სხვა ქალაქები, ბოლოს კონს-  
ტანტინეპოლი და თურქეთის  
გზით — საქართველო! — ყვე-  
ბოდა მოსწავლე.  
— რას ერჩი! — წამოიძახა  
მეორე მოსწავლემ, — ასეთ კრუ-  
იზს ბევრი ნატრობს ახლა,  
მასწ!

**ყურმიკრული**

**მონადირეები** იხვს კლავენ.  
ძალი თავისით რომ არ შედის  
წყალში, ძალით აგდებენ. გადა-  
აგდებენ — მოტრიალდება და  
ამოდის ნაპირზე. მესუთუჯერ  
რომ გადააგდეს, მონადირეებს  
ბარნაბა წაადგა თავს.  
— ბიძიკობო, სიდოურები  
ხართ თქვენ?  
— სურებლები!  
— მერე, მაგი ძალი სურებ-  
ში ვერ დაახრჩვეთ?

**დედლაგა** არ მოიკრუხეს.  
— რა ვქნათ? — მკითხა სი-  
დედრამა.  
— წესია ასეთი, — ვუთხარი  
მე, — უნდა აიღო შენი ბარგი-  
ბარხანა, მოიხურო საბანი და  
ისე გადახვიდე ეზოდან, თითქოს  
გაბარბუბული ხარ და ტოვებ  
აქაურობას. დედლებს შეეშინ-  
დებათ და მოიკრუხებენ.

სიდედრს ჭკუაში დაუჯდა ჩე-  
გი ნათქვამი. აიღო თავისი ბარ-  
გი-ბარხანა, მოიხურა საბანი და  
გადავიდა ეზოდან იმ იმედით,  
რომ მალე დაფუძახებდი, მობრუ-  
ნდი ანი-მეთქი! მიდის სიდედრი  
და იხვდება უკან. რომ არაფერი  
დაფუძახე, მომიბრუნდა და მკი-  
თხა:  
— არაა ანი დრო, დამიძახო,  
მობრუნდი უკანო?  
— არა, იარე, კარგად მიდი-  
ხარ! — დაფუძახე მე.

სიდედრს ინფარქტი დაემარ-  
თა — გაუჩერდა ხელი, ფეხი,  
ჩაუვარდა ენა!.. მოვიყვანი ექი-  
მი.

— გულიკო ექიმო, მიშველო  
უნდა რამე, ვიღუპები! — შე-  
ვეხვეწე ჩვენი სოფლის ექიმს.  
— ყველაფერს გავაკეთებ, ნუ  
ღელავ! სიდედრი ვის არ ჰყო-  
ლია, მაგრამ შენსავით არ ყვა-  
რებია. ახლავ ავუმოდრავებ ხე-  
ლსაც, ფესსაც და ენასაც ამო-  
ვუღებამ! — დამამიდა ექიმმა.  
— ხელი და ფეხი ქე აუმოდრა-  
ვე, ექიმო, მარა ენის ამოდგამაზე  
შეიკავეთ თავი ერთხანს! — შევე-  
ხვეწე მე.

— რა თქვი, თემურიკო?  
— მომცეს დეიდან ჩურჩხელა!  
— უთხარი და მოგცემს!  
— ვუთხარი და არ მაძლევს.  
— ყურში ჩასჩურჩულე და მო-  
გცემს!  
ბიჭი მივიდა დეიდასთან, გა-  
დაუნია ჩამოშლილი თმები და  
იყვირა: — ვაიმე, რამხელა ყუ-  
რები ჰქონია დეიდას!

**ერთი წვეულე** ბაში ქალ-  
ბატონი ლალი, ვინმე რამეს ეტ-  
ყოდა თუ არა, მიუბრუნდებოდა  
და ჰკითხავდა: რა თქვით, ქალ-  
ბატონო? რა ბრძანეთ, ქალბატო-  
ნო?

ბოლოს ერთმა, გახარებულმა  
იმით, რომ ქალბატონი ლალი  
ასეთ დიდ ყურადღებას იჩენდა  
მათდამი, აღფრთოვანებით შეს-  
ძახა:  
— რა ყურადღებიანი ქალი  
ბრძანდებით, ქალბატონო ლალი!  
— ქალბატონო, — უპასუხა  
მან, — ყურადღებიანი კი არა,  
ყურ ვარ და ცოტა ხმამაღლა  
მელაპარაკე!


— ნუ აგინებ, კაცო, იპოლი-  
ტეს, თორემ მიუტანენ ამბავს!  
— ამას წინათ სახოტბო წერ-  
ილი მივწერე, ის არ მიუტანიათ  
და მაინცდამაინც გინებას მიუ-  
ტანენ?  
**რავა ოსაფივილი**

● **სამშენი** თქვა: ვინც უპასუ-  
ხისმგებლოდ შეიკლება, აასუნიხვე-  
ბას არ ახცდებოა!  
● **რამიზინის** დროს გამფ-  
ლანგაველი ფეხზე იდგა, მაგრამ  
გრძნობდა, რომ ჭდებოდა!..  
● **ზარმაცს** ჰკითხეს, ყვე-  
ლაზე ძვირი რა გიჭდება და —  
შრომის უუნარობის ფურცელიო.  
● **პაპიკინა** თქვა: დახლიდა-  
რი არ მამუშავებს, — ეგებს გაი-  
ზარდობს!

პიოკაი დანელია



# ქვეყნის პრესა



მეძებრე უსაშველოდ დიდი ფინანსის მქონე სპონსორებს — საპროექტო, სამშენებლო, საკურორტო და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც დამხმარებიან შავი ზღვისპირა კურორტზე. კერძოდ გრიგოლეთში თექვსმეტსართულიანი ათასმომრიანი სანატორიუმ-ღვინის თავისი საკურორტო-ბუნებრივი თვისებებისა და სანატორიუმის აგებაში. მოგეხსენებათ, გრიგოლეთში არ ჩამოუვარდება საქართველოს ნებისმიერ ზღვისპირა კურორტს. ცნობილი კურორტოლოგები უნიკალურად თვლიან მის მაგნიტურ სილას. წყლის დაბალ დონეს, ჩქვრების ჭავლების სისწიერს, მზის მცხუნვარების ხანგრძლივობას, ჰაერის სიმსუბუქესა და სისუფთავეს... და აი. ახეთ კურორტზე საშუალება ექნებათ სპონსორ ორგანიზაციებს დასვენონ თანამშრომლები, ოჯახის წევრები, ახლობელ-ნათესავები სანატორიუმ-პანსიონატში. როცა იგი აშენდება და ექსპლუატაციაში შევა, უფასოდ მიეცემათ თითო საწოლი წლის ნებისმიერ დროს სარგებლობისათვის. სხვა დახმარებებისაგან სპონსორებს ვათავისუფლებ. რადგან ხელმძღვანელ-თანაქრომელ-მოსამსახურეთა შტატები უკვე შევსებულია, მთავარ ექიმ-დირექტორად (ეს ჩემი ახალი შტატია), რა თქმა უნდა, პირადად მე ვარ დანიშნული!

მეძებრე კ. თბილისის 28 კომისიის რაიონის ვარკეთილის დასახლების მეორე მიკრორაიონის მეცამეტე კვარტალის მეშვიდე კორპუსის № 87 სახლის მესამე შესასვლელის მეტერთმეტე სართულზე არსებულ ერთოთხიანი კედლე-სახურავშესაცვლელ, უპარფანჯრებო, უპარკეტო, უწყლო, უტელეფონო, უჰაერო, ულიფტო ახალმიღებული კე-

თილმოწყობილ, იზოლირებულ კოპერაციულ ბინას სადმე საქართველოს ნებისმიერი რაიონის (სასურველია გურიის) ნებისმიერი სოფლის ორსართულიან, ექვსოთხიან, ეზობაღიან, მდინარე-წყაროიან, მწვანე-სათიბიან, ტყიან-ბუჩქნარაიან, უნიან-ვენახიან არა-იზოლირებულ ბინაზე!

მეძებრე ჩემს უნიკოდ დაწერილ და 10-12-ჯერ გამოცემულ ოცდათორმეტივე რომანს კენიოსის მიერ დაწერილ და არგამოცემულ ერთ რომანზე!

მეძებრე ჩემი, პუბლიცისტი და მოგზაური. რამდენჯერმე გამოცემული სქელ უდაში და მალალ პოლიგრაფიულ დონეზე ჩემი პოეტური, პროზაული, მემუარული, იუმორისტული და მოგზაურული ნაწარმოებები, რომელთა გამოშვებაზე ათობით ტონა დეფიციტური ქაღალდი მაქვს გახარჯული.

ქაღალდის დეფიციტურობის პრობლემა არც ამჟამადაა მოხსნილი დღის წესრიგიდან. პირიქით, ხალხში გამოუონა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქაღალდის უქონლობის გამო საწარმო-დაწესებულებებში წერა-ბეჭდვას ამიერიდან ფურცლის ორივე გვერდზე შეუღებვიან, შემცირდება სასოფლო, საქალაქო, რაიონული, დარგობრივი, კოპერაციული და შეიძლება ზოგიერთი რესპუბლიკური გაზეთის ტირაჟები, მოსალოდნელია თვით გაზეთების გაუქმებაც კი! ალბათ მალე მთლიანად გადავალთ უეპირსიტუაციებაზე, გავიხსენებთ და აღვადგინოთ ქვაზე, ხეზე, ტყავზე

(სად გვაქვს ხე და ტყავი?! წერის საიდუმლოებებს!..


და რახან წინასწარ ვხედავ თავისუფალ საქართველოს. მისი ერის მომავალს, რახან მიცნობს მკითხველი, რომ მრავალწიგნ-ბროშურა-ბუკლეტიანი მწერალი ვარ, იცის, რა დამიწერია და რისი დამწერიც ვიქნები მომავალში, არ იქნება ურიგო, თუ ამიერიდან აღარ დამაწერიებთ არაფერს და დაუწერელ-დაუბეჭდავად ამინაზღაურებთ უოველთვითურ ჰონორარს, მომცემთ მოკლე და გრძელვადიან მივლინებებს როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მსოფლიოს პროგრესულ ქვეყნებში! ამით დიდად დაიზოგება ქაღალდი, ამსუბუქდება წიგნის მაღაზიების თაროები და, რაც მთავარია, მოისვენებენ გამოცემლობები და საცოდავი, გაწამებული მკითხველები!..




ვინ იცის, იქნებ ბევრმა მომბაძოს კიდევ! განა ცოტაა ჩემისთანა პატრიოტი და წინასწარმჭვრეტი მწერალი?

მართალია, ამით კრიტიკოსებს ნამდვილად კი მოაკლდებათ კაი გვარიანი, მსუქანი ლუკმა, მაგრამ მე სულაც არ შედარდებიან უბედური კრიტიკოსები! — ცოტა მჭამებს, მკბინებს, მგლიჯებს აქამომდე თუ რა?! აწი მაინც იყვნენ უჩემოდ და ნახონ ერთი, რავარი ბიჭები არიან!..

რევაზ ლორია  
(ბ. ლანჩხუთი)

ნ.ბ. ბ. ზუგუშვილისა





### ჰინე ვის ჰვავს...

გველი როცა ეხიზრებათ. — ჰორის ეშინიათ!  
ვერ გაიგებ, ჰორიკანას წყურია თუ შია?!  
ჰორსა ჰხელავს ისე სწრაფად, ფეიქარივითა, —  
გადაივლის მთელ მსოფლიოს ხმელეთით თუ ზღვითა!..  
მაგრამ, როცა ცხადად ნახავ მის მოხატულ სხეულს,  
შინის მეთი რა დაგრჩება მისგან გადარეულს?!  
აღამიანიც ბევრი ჰგავს უხხენებულს, მცურავს, —  
გეფიცება სიკეთება და გეპყრობა მტრულად!

დოდო ზურაბიშვილი

### დაეწავით, მამრამ!..

სხვაგან ხარ თუ გესტუმრება კაცი, ქალი,  
არ დალიო, არც სხვას ასეა წყაროს წყალი,  
მოადულე და მიართვი ჰიქა ყავა.  
გამაგრდება, გაკაუდება... მხნედაც წავა!  
ეგებ სულაც არ სწადია წვეთ-წვეთ წრუპოს,  
ეგებ გულის ფიცარს სევდის დანა უპობს?  
სუსტია თუ ღონიერი, რა აზრი აქვს?  
მთავარია, არ დაეზღვეს „წნევას“, „შაქარს“!  
ერთი სიტყვით, დღევანდელ დღის დიდი აზრი  
ყავის ფინჯანს უყოყმანოდ თავზე აზის!  
გხვდით, ვიგემოთ, გვაძალეებენ სტუმრებს რაკი,  
ეხეც მოდა — დავაულოთ კონიაკი!

### მისამღერი

მეგობარო, მეგობარო, დაეწაფე ხარბად ყავას,  
ჩიტო თუ ხარ, გადიქცევი, გადიქცევი ორბად, ყვავად,  
არ გაექცე დღევანდელ დღის წებს და ჩვევას  
და ფინჯანზე მკითხოზობის გამოწვევას!

დავით შურგანიშვილი

### ქაფი

რაც შეეძლო, მოიპარა, ქაფა, ქაფა, ქაფა, ქაფა!..  
სულ შექამა ის ხაწყობი (მავშობაში ჰამლა ფაფას!).  
სულ ეგონა — ეგ ცხოვრება არის კასრი, 'ავხე თაფლით!..  
რომ არ დარჩა ხაქაფავი, ხელში შერჩა მარტო ქაფი!..

იოსებ გაქოშვილი  
(ლაგოდების რაიონი)

### ეს საკირა მაკვირვებს!..

ჰირანაშვილის მოსაწვევად, ისეთისა, როგორცაა ყურძენი,  
ბოსტნეული და სხვა, მოსახლეობა იყენებს მამაპაპურ შესაწამლ  
საშუალებებს, რათა წლის ნაშრომი არ დაილუპოს! ასეთ საშუა-  
ლებად ითვლება ბორდოს ხსნარი, რომელიც შედგება შაბიამნისა  
და მალალი ხარისხის ჩაუმქრალი კირისაგან.  
აღნიშნული პრეპარატის გარეშე ნახევრდება მოსავალი ან  
მთლიანად ნადგურდება მავნე მწერებისაგან!..

აუცილებლობა მოითხოვს, შაბიამნის გვერდით იყიდებოდეს  
დაფასოებული კირი, მასთან ერთად — გოგირდი!

სამწუხაროდ, მოსახლეობას არა აქვს საშუალება, ებრძოდოს  
მავნე მწერებს და ახალდაბუდებულ ამერიკულ პეპელას!

პრობლემად ითვლება ხარისხიანი კირის შოვნა, რისთვისაც  
სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირებს უხდებათ დიდი დრო-  
ნი დაკარგვა, მასთან ერთად უხდებათ კირის შოვნა არალეგალუ-  
რი გზებით და, ნაცვლად 15 კაპიკისა, კილოგრამში იხდიან 50  
კაპიკს!

აღნიშნულ საკითხზე ბევრი სტატია დაინერა როგორც ადგი-  
ლობრივ, ასევე საკავშირო პრესაში.

საკითხის მოგვარება კი ჭიანურდება!

ალექსანდრა ჩაბანავა,  
ბუნების დაცვის საზოგადოების წევრი.

### ცინცხალი აზგები


თგილისის და ხურულ ბაზართან წვრილმანი ხულიგნო-  
ბისათვის დააკავეს ვინმე პატარკაციშვილი, რომელიც დიდი კაცის  
შვილი აღმოჩნდა და მაშინვე გაუშვეს!

უალკოვლო სასმელებსა და ნახშირმყავა გაზის  
ქარხნებმა დაინყეს გაზიანი „ბორჯომის“ ჩამოსხმა, რომელსაც  
მალე მიიღებს მომხმარებელი!

უპროვალი შემოსავლის მოყვარულთათვის გაიხსნა  
სპეციალური მალაზია, სადაც თავის ფასში შეიძლება შეიძინონ  
დეფიციტური საქონელი!

ზურაბ მამულაშვილი

ნახ. ზაზა სპანინი



# მეანსიკაცია ანუ ვინ ვარ მე?

იუმორისკა

— შენუხებისათვის დიდ ბოდიშს გიხდით! თქვენი კორესპონდენტი ბრძანდებით?

— რაშია საქმე, ქალბატონო?  
— თუ ღმერთი გნამთ, ორიოდ წუთით მომისმინეთ!

ოდნავ ჩამრგვალებული და განსაცვიფრებლად სიმპათიური მანდილოსანი ლაყვარლივით მოციმციმე თვლებით მომაჩერდა. მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— თუ ასეა, სწორედ თქვენი მეშვეობით „ქალთა სამყაროს“ რედაქციას შეკითხვა მიმდა გაუფზავნოს. ის მუდამ იძლევა განმარტებას საჭიროროტო საკითხებზე.

— გისმენთ, გეთაყვა!  
— ამისხენით, თუ შეიძლება, რა რჯულის... უკაცრავად, რომელი სახეობის ცხოველთა ოჯახს მიეკუთვნები პირადად მე?

ამის გაგონებაზე თვლები კინალამ გადმომიცივიდა. გაოცებისაგან პირი დავაღე. წუთიერად გაშტერებული შევცქეროდი მოსაუბრეს, თითქოს ჩემს წინაშე უცხოპლანეტელი პუმანოიდი იდგა. კეთილსახიერმა დიაცმა ერთ-ორჯერ ღრმად ამოიხვნეშა და, ყოველგვარი ცინიზმის გარეშე, სევდანარევი ხმით განაგრძო:

— ეს მკრებელური კითხვა აგერ რამდენი წელიწადია მაჯლაჯუნსავით მანევს გულზე და ვერანაირად ვერ მიპოვია პასუხი.

— ღმერთო დიდებულო! — წამოვიძახე გულწრფელი თანაგრძობით. — თქვენ პრიმატთა უმაღლესი კლასის წარმომადგენელი, ბუნების მეუფე, მისი გვირგვინი — ადამიანი ბრძანდებით! დიახ, ადამიანი! ეს ამაყად უღერს! — მოვიშველიე გორკის ბრძნული გამონათქვამი.

— თქვენმა სიტყვებმა სასოება მომანიჭა — გაუხარდა მას. — წარმოდგინეთ, გათხოვებამდე მეც ასე ვფიქრობდი!

— მერე რა მოხდა?  
— ყველაფერი თავდაყირა გადატრიალდა!

— ვერაფერი გამოვიცა!.. მაბატით, ქალბატონო, თქვენი არაფერი მესმის!

— ახლავე ავიხსნით!.. — აგრესიული ტონით მომიგო უცნობისი, — დილით, როცა სამსახურში მაგვიანდება, ავტობუსის სახელურს გარეულ კატასავით ვებლაუჭები. გაჭედულ სალონში ინგლისური ბულოდის დარად ვყეფ. რისთვის? ხან ბებერაზე დამადგამენ ფეხს, დასაჯდომ ადგილს ამ ბოლო დროს რატომღაც აღარავინ მთავაზობს, ხშირად კონდუქტორი ხურდას აღარ მიბრუნებს, ვიღაცა ჩანთაში ხელს მიფათურებს, თამბაქოს ცხვირში მახრჩოლებენ და ავეფფდებო, აბა, რა მომივა?! კანტორაში ნიკორა ხაროვით ქედდაუდრეკელად ვმუშაობ, ზოგჯერ დავალებას წარმატებით ვართმევ თავს, რისთვისაც უფროსი მოწყალე ღმილით მაჯილდოებს და მხარზე ხელს მითათუნებს. მაშინ მერცხალივით აველურტულდები ხოლმე. დღის ბოლოს ფეხმალი ცხენის სისწრაფით ზაზარში გავრბივარ და ხორაგეულით სავსე აბჯებით დასაპლნებული სახედარივით შინ ვბრუნდები. ქმარი ტელევიზორის პირდაპირ დივანზეა გაშოტილი და ცალყბად მეკითხება:

— ფისუნია, დღეს სადილად რა გვაქვს?

სადილი კი მზად არ არის, ვინაიდან ეს-ესაა შემოვედი.

— ოხ, რა ზოზინა ზაქი ხარ! — ბრდღვინავს ჩემი გამძვინვარებული თანამეცხედრე. ხოლო როცა ქანც-გამოლეული დასაძინებლად ვწვები კარგად ნაბატით და ბულასავით გასუქებული მუღლის გვერდით, ლოჯინში მისი პარტნიორობის თავი სულაც აღარ მაქვს! მას კი სწორედ მაშინ მოერევა ვნების უინი და უხეშად მეუბნება:

— გადმობრუნდი ჩემკენ, შე ბეჭემოთო!

ბოლოს და ბოლოს, ღვთის გულისათვის, ამისხენით, რომელი ჯიშის ცხოველი ვარ მე?

ბორის მათითაშვილი  
(ქ. სოხუმი)



სატირისა და იუმორის  
ჟურნალი „სატირისა“ № 11  
(1813). იენისი. გამო-  
დის 1923 წლის იენისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაზა სპანინი

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ქაბუა ამირეჯიბი, ნოზალი  
ბარათია, რევაზ თვარაძე,  
ჭემალ ლოლუა (მხატვარ-  
რედაქტორი), ნოდარ შალა-  
ზონია, ალექსანდრე სამსო-  
ნია, ბეუნ სიხარულიძე  
(მთავარი რედაქტორის მო-  
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-  
ანი, თამაზ წიგწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად  
28. 04. 90 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდად 28. 05.  
90 წ. ქალაქის ზომა  
60x90/8, ფიზიკური ნაბე-  
ჭრი ფურცელი 1,5. სააღ-  
რიცხვო-საგამომცემლო თა-  
ვასი 1,9. საქართველოს კ-  
ყის გამომცემლობა,  
მ. კოსტავას ქ. № 14. შეკვ.  
№ 1037. უე 04058. ტირაჟი  
125.000. ქურნალი გამოდის  
თვეში ორჯერ. რედაქციაში  
შემოსული მასალები ავ-  
ტორებს არ უბრუნდებათ.

ჩენი მისამართი: 880008.  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მგ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა გამგებების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაების — 99-02-38,  
მდივან-მე მანქანის —  
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ» (На грузинском  
языке). Тбилиси, пр. Ру-  
стваели № 42. Изда-  
тельство ЦК КП Грузии,  
ордена Трудового Крас-  
ного Знамени типогра-  
фия издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси,  
ул. М. Костава № 14.

ფასი 20 კპ.

ინდექსი 76127

